დამტკიცებულია

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის

სოფელ კეხიჯვარის საჯარო

სკოლის დირექტორის მ/შ

.08.2023 N2- ბრძანებით

სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის
სოფელ კეხიჯვარის საჯარო
სკოლის

ინტერვენციის გეგმა

2023

სფერო/უნარი: თხრობა
წინარე ცოდნა/ საწყისი უნარი: სიტყვებს პაუზით გამოყოფს ერთმანეთისგან. თხრობისას იყენებს პირის და რიცხვით ნაცვალსახელებს. მარტივი ტექსტის რამდენჯერმე მოსმენის შემდეგ დამხმარე კითხვების საშუალებით მოსწავლე ხვდება მთავარ აზრს. ასახელებს ნაწარმოების მთავარ გმირებს.
რას უნდა მიაღწიოს მოსწავლემ და რა ვადაში: 1) მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაწარმოების მთავარი გმირების აღწერა.(5 კვირა) 2) მოსწავლემ უნდა შეძლოს ტექსტის გაგრძელება საკუთარი წარმოსახვით(5 კვირა) 3) მოსწავლემ უნდა შეძლოს 5-6 წინადადებისგან შემდგარი ტექსტის შინაარსის გადმოცემა. (7 კვირა)
კავშირი საგნობრივი გეგმის მიზნებთან: ქართული , ცნება-სიტყვა, წინადადება, ტექსტი. სტრატეგიების გამოყენებით, მცირე ზომის ტექსტების შედგენა სხვადასხვა მიზნით, (მაგ., წაკითხულზე რეაგირების, ამბის გადმოცემის).

აქტივობა	მასალა/ რესურსი	სამეცადინო სივრცე	მშობლის/ მასწავლებლის თანამონაწილეობა
მასწავლებელი მოსწავლეს უკითხავს ტექსტს- ,,მგელი და კრავი“ ტექსტის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა უნდა აღწერონ ეს ორი პერსონაჟი და დაფაზე თითოეულმა მათგანმა თითო სიტყვით დაახასიათონ ორივე პერსონაჟი(გააკეთონ პერსონაჟის რუკა). ბოლოს ჩამოთვლი მახასიათებლების მიხედვით, შექმნან ამ ორი პერსონაჟის ილუსტრაციები.	წიგნი, დაფა, თაბახის ფურცლები და ფერადი ფანქრები.	რესურს ოთახი	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.
მასწავლებელი მოსწავლეს აჩვენებს წინასწარ გამზადებულ გოგოს და ბიჭის მაკეტებს. მოსწავლემ სურვილისამებრ უნდა შეღებოს მათი ტანსაცმელი და ასევე სახეზე მიაკრას თვალები, წარბები, ცხვირი, ტუჩები ყურები. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს აღწეროს თითოეული მათგანი რა აცვიათ ? რა ფერის სამოსი აცვიათ? ნაქვთები როგორი აქვთ? ემოცია როგორი აქვთ მოწყენილები არიან თუ გაღიმებულები და ასე შემდეგ...	გოგოს და ბიჭის მაკეტი, ფერადი ფანქრები, გამოჭრილი თვალები, წარბები, ყურები, ცხვირი, პირი. წებო	რესურს ოთახი	ხელოვნების მასწავლებელი.

მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის წინასწარ გამზადებულ და აკინძულ პატარა წიგნს , სადაც რწყილი და ჭიანჭველას პერსონაჟები არიან დახატულები. მოსწავლემ უნდა გადაშალოს თითო ფურცელი და ყველა პერსონაჟი უნდა აღწეროს 3 სიტყვით.	აკინძული მცირე ზომის წიგნი.	რესურს ოთახი	მშობელმა სახლში რამდენჯერმე უნდა წააკითხოს „რწყილი და ჭიანჭველა“

აქტივობა	მასალა/ რესურსი	სამეცადინო სივრცე	მშობლის/ მასწავლებლის თანამონაწილეობა
მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს სიუჟეტურ ბარათებს მხოლოდ ორ სიუჟეტს და სთხოვს მისი აზრით როგორ გაგრძელდება ეს ამბავი დახატოს მესამე სიუჟეტი და შემდეგ აღწეროს.	სიუჟეტური ბარათები. თაბახის ფურცელი და ფერადები.	რესურს ოთახი.	
მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს ითამაშონ ,,თავგადასავლების ლოტო" ტომარაში ჩაყრილია პატარა ფურცლები სადაც პატარ- პატარა თავგადასავლები წერია დაუსრულებელი სახით მოსწავლე იღებს ერთ ბარათს და კითხულობს ისტორიას და მან თავისი ფანტაზიით უნდა გააგრძელოს ამბავი.	ტომარა.	რესურს ოთახი	მასწავლებელი სთხოვს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს მსგავსი თამაში კვირაში ერთხელ მაინც ათამაშოს მოსწავლეებს.
მასწავლებელი და მოსწავლე გადიან სკოლის ეზოში. მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს უთხრას წელიწადის რომელი დროა ახლა, აღწეროს ეს დრო ორი სამი წინადადებით, გამოიცნოს შემდეგ რომელი დრო მოდის და როგორ შეიცვლება ეს ბუნება წელიწადის მომდევნო დროს. ამის შემდეგ მოსწავლემ დახატოს ეს ორი წელიწადის დრო.		სკოლის ეზო	
აქტივობა	მასალა/ რესურსი	სამეცადინო სივრცე	მშობლის/ მასწავლებლის თანამონაწილეობა

მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს სამი აბზაცისგან შემდგარ პატარა ტექსტს. მოსწავლემ თითოეული აბზაცი სასურველი ფერით უნდა გააფერადოს. შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს რა წერია მაგ: წითლად გაფერადებულ აბზაცში რა წერია ყვითელში მწვანეში და დამხმარე კითხვების მეშვეობით ცდილობს გააერთიანონ აზრი.	ფერადი ფანქრები	რესურს ოთახი.	მასწავლებელი მშობელს აძლევს რეკომენდაციას რომ როდესაც მოსწავლე რაიმე ქმედებას ახორციელებს ხშირად დაუსვას შეკითხვები ააღწერინოს თავისი გაკეთებული საქმე. (მაგ: თუ გყავდათ სასეირნოდ სახლში მისვლისას სთხოვეთ ოჯახის წევრებს მოუყვეს, თუ რა ნახა იქ)

მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს მცირე ზომის,ნახევარ გვერდიან, ტექსტს. თავდაპირველად უკითხავს თავად, შემდეგ აკითხინებს მოსწავლეს, შემდეგ აჩვენებს მოცემული ამბის ვიდეორგოლს. ამ ყველაფრის ნახვის შემდეგ მოსწავლემ უნდა დახატოს ნახატი და თან აღწეროს რა დახატა, რა ამბავი იყო გადმოცემული ტექსტში.	წიგნი, კომპიუტერი, ფურცელი, ფერადი ფანქრები.	რესურს ოთახი	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.
მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს 3 ბუშტს. ბუშტები დანომრილია 1,2,3. მოსწავლემ თანმიმდევრობით უნდა გახეთქოს ბუშტები, სადაც დახვდება სამ ნაწილად გაყოფილი ტექსტი მასწავლებელი და მოსწავლე შეაერთებენ ამ ტექსტს და მოსწავლემ 5-6 წინადადებით უნდა გადმოსცეს მოცემული ტექსტის შინაარსი.	ბუშტები.	რესურს ოთახი.	

სფერო/უნარი: აზროვნება
წინარე ცოდნა/ საწყისი უნარი: მოსწავლეს შეუძლია ობიექტებს ორი ნიშნის მიხედვით დახარისხება, კლასიფიკაცია. მოსწავლეს შეუძლია ობიექტების დაჯგუფება მათი მახასიათებლების მიხედვით. ობიექტებს შორის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების აღმოჩენა მათ თვალსაჩინო ნიშნებზე დაყრდნობით. შეუძლია კატეგორიზაცია. მოსწავლეს შეუძლია ორნაწილიანი სიუჟეტური სურათის სწორი თანმიმდევრობით დალაგება.
რას უნდა მიაღწიოს მოსწავლემ და რა ვადაში: აპრილი მაისი 1) მოსწავლემ უნდა შეძლოს სამ-ოთხ ნაწილიანი სიუჟეტური სურათების სწორი თანმიმდევრობით დალაგება 2) მოსწავლემ უნდა შეძლოს ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენების და პროცესების მიზეზშედეგობრივი აღქმა, გაგება.(წელიწადის დროები). 3) მოსწავლემ უნდა შეძლოს ოთხი ჩამოთვლილი საგნიდან ერთი ზედმეტი საგნის გამოყოფა .
კავშირი საგნობრივი გეგმის მიზნებთან: ქართული , ცნება-სიტყვა, წინადადება, ტექსტი.

აქტივობა	მასალა/ რესურსი	სამეცადინო სივრცე	მშობლის/ მასწავლებლის თანამონაწილეობა
მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება-აიღეს ფეხზე, მივიდეს ფანჯრის მინასთან მიაწებოს გამოჭრილი ჩიტუნა(მასწავლებელმა მოსწავლეს თავად გამოაჭრევინა) მინას და ისევ დაჯდეს სკამზე. მასწავლებელს წინასწარ მომზადებული აქვს ამ მოქმედებების ამსახველი სიუჟეტური ბარათები. მოსწავლეს აწვდის არეული	სიუჟეტური ბარათები, მაკრატელი	რესურს ოთახი	მასწავლებელი საგნის მასწავლებლებს აძლევს რეკომენდაციას თანმიმდევრობით გაამეორებინონ მოსწავლეს

თანმიმდევრობით და სთხოვს დაალაგოს სწორად, მისი ქმედებების შესაბამისად.			თავისი ან თანაკლასელის მოქმედებების თანმიმდევრობა.
მასწავლებელი მოსწავლეს ასწავლის წელიწადის დროებს . მოსწავლემ თითოეული წელიწადის დრო უნდა დახატოს . მასწავლებელი მოსწავლეს აძლევს თავის დახატულ ნახატებს და სთხოვს დააწეროს 1,2,3,4 ციფრები ანუ რომელ დროს რომელი მოსდევს.	თაბახის ფურცლები, ფერადი ფანქრები.	რესურს ოთახი	ხელოვნების მასწავლებელი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
მასწავლებელი მოსწავლეს უკითხავს რწყილი და ჭიანჭველას. მაგნიტურ დაფაზე მიაკრობს რწყილს მოსწავლემ შემდეგ უნდა მიაკრას იმ გამოსახულებიანი ბარათები ვისთანაც რწყილი მივიდა . მოსწავლემ უნდა დაიცვას სწორი თანმიმდევრობა და სულ მცირე 4 პერსონაჟი მაინც უნდა ჩამოწეროს სწორად.	მაგნიტური დაფა, ბარათები ცხოველების გამოსახულებით	რესურს ოთახი	
აქტივობა	მასალა/ რესურსი	სამეცადინო სივრცე	მშობლის/ მასწავლებლის თანამონაწილეობა
მასწავლებელი მოსწავლესთან ერთად ატარებს ცდას . იღებს ორ ქოთანს და რგავს შიგ ბზებს ერთს უვლიან მზეზე დგავენ , წყალს უსხავენ . ხოლო მეორე ბნელ ადგილას უდევთ და არც წყალს უსხავენ. მოსწავლე უნდა დააკვირდეს თუ რა მოუვათ ბზებს და გამოიტანოს დასკვნა.	ბზა, ქოთანი,	რესურს ოთახი	ბიოლოგიის მასწავლებელი. მასწავლებელი სთხოვს საგნის მასწავლებელს ჩაატარებინოს მსგავსი სახის სხვადასხვა დაკვირვება.
მასწავლებელი მოსწავლეს გააშლევინებს ხელს. ერთ ხელში დააჭერინებს კენჭს, ხოლო მეორეში ყინულის პატარა ნატეხს. მოსწავლეს სთხოვს რომ დააკვირდეს რა მოხდება. მას შემდეგ რაც ყინული გადნება ეკითხება შენი აზრით რატომ გადნა ყინული? რატომ არ გადნა ქვა? ყინული რომ შენი ხელისგულის ნაცვლად საყინულეში მოგვეთავსებინა მაინც გადნებოდა?	ყინული, კენჭი	რესურს ოთახი.	ბუნებისმცოდნეობის პედაგოგი. მასწავლებელი საგნის მასწავლებელს აძლევს რეკომენდაციას რომ მოსწავლე ხშირად ჩართოს მარტივი ცდების ჩატარების პროცესში, რათა თვალსაჩინოების და კეთებით სწავლების დროს დაამყაროს საგნებს შორის მიზეზშედეგობრივობა.

მასწავლებელი მოსწავლეს კომპიუტერში აჩვენებს ანიმაციას სადაც ასახულია ჰიგიენის ნორმების დარღვევები(როდესაც ბავშვი არ იბანს ხელებს , არ უყვარს ბანაობა, არ ალაგებს თავის ნივთებს)	კომპიუტერი. თაბახის ფურცლები და ფერადი	რესურს ოთახი	

და ამ ყველაფრის შედეგები. მოსწავლეს ევალება ამ ყველაფრის „გამოსწორება“ , ანუ შებრუნებული ვარიანტის მოფიქრება და ჩანახატების გაკეთება.	ფანქრები.		
აქტივობა	**მასალა/ რესურსი**	**სამეცადინო სივრცე**	**მშობლის/ მასწავლებლის თანამონაწილეობა**
მასწავლებელი მოსწავლეს დაუწყობს 4 სხვადასხვა ნივთს მაგიდაზე (კალამი, წიგნი, საშლელი და თმისსამაგრი) მოსწავლემ უნდა აღწეროს თითოეული ნივთის დანიშნულება. მას შემდეგ რაც მოსწავლე აღწერს მათ მასწავლებელი სთხოვს გამოიცნოს რომელია მათგან ზედმეტი .	კალამი, წიგნი, საშლელი, თმისსამაგრი.	რესურს ოთახი	მშობელს ეძლევა რეკომენდაცია სამზარეულოს ნივთები დაუწყოს მოსწავლეს და ერთი ზედმეტი ნივთი დაუდოს მოსწავლემ უნდა გაარჩიოს ისინი ერთმანეთისგან.
მასწავლებელს აქვს ოთხი პატარა ტომარა რომლებსაც აწერიათ წარწერები „მე ხილი ვარ ყვითელი ვარ“ „მე ხილი ვარ წითელი” „მე ხილი ვარ ვარდისფერი“ „მე რკინა ვარ ჟანგისფერი” მოსწავლეს მასწავლებელი აძლევს ტომარას სადაც ეს ოთხი ნივთია მოთავსებული მოსწავლემ უნდა ჩაყოს ხელი, ამოიღოს თითო ნივთი და მოათავსოს შესაბამის ტომარაში . მასწავლებელი დამხმარე კითხვებით ეშველება მოსწავლეს რა ამოიღო ტომარიდან რა ქონდათ მათ საერთო რომელი იყო მათგან განსხვავებული და არ იჭმეოდა.	ტომარა, ხილი.	რესურს ოთხი,	მათემატიკის მასწავლებელი მოსწავლესთან მუშაობს გეომეტრიული ფიგურების და სხვა ზედმეტი ნივთების განსხვავებაზე.
მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს ერთი კატეგორიის ნივთებს 5 სვეტად. სადაც თითო სვეტში თითო ნივთი იქნება ზედმეტი მოსწავლემ უნდა წაიკითხოს თოთოეული სვეტი და სადაც ზედმეტი ნივთი ეწერება წითელი ცარცით გადაუსვას ხაზი.	დაფა, ცარცი.	რესურს ოთახი	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.